



გასვლითი სამუშაო შეხვედრა მცხეთაში

(მცხეთა-მთიანეთის რეგიონი)

2015 წლის 6 მარტი

სესია

კულტურული მემკვიდრეობა

მოდერატორი : თეონა ჯაყელი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

რეპორტიორი : თამარ წულუკიძე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

მონაწილეები :

ირმა წამალაძე, დუშეთის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი

ნუკრი ფაშურიშვილი, თიანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდების კურატორი

გოდერძი არაბული, ყაზბეგის რაიონის კულტურის სახლის თანამშრომელი

გრიგოლ სეთურიძე, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე

ლალი ქაჩლიშვილი, თიანეთის კულტურის სამსახური

ნუგზარ ფსუტური, ახალგორის მუნიციპალიტეტი

ინა ახალბედაშვილი, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილებს მთავარი სეციალისტი

ნუნუ ბურდელიძე, მცხეთის საბავშვო ბიბლიოთეკა

კობა არაბული, მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის მოადგილე

მერაბ ალიბეგაშვილი, მცხეთის დ. გამრეკელის სახელობის ხელოვნების სკოლის სასულე ორკესტრის პედაგოგი

თეა პატაშური, დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი

ნინო თათარაშვილი, ქ.მცხეთის ცენტრალური ბიბლიოთეკა

ნინო ზარიძე, ქ. მცხეთის ცენტრალური ბიბლიოთეკა

ელისაბედ ჩიხლაძე, საბიბლიოთეკო ადმინისტრაციის მენეჯერი

თამარ თოთიბაძე, მცხეთის შოთა რუსთაველის სახელობის ცენტრალური ბიბლიოთეკის უფროსი სპეციალისტი

მეველუდ ქურდიანი, მცხეთის დ. გამრეკელის სახელობის ხელოვნების სკოლის სამეურნეო საქმის კომენდატი

ბექა ღარიბაშვილი, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე

ქეთევან წიკლაური, დუშეთის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური

ეთერ ფსუტური, ახალგორის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი (წეროვანის დევნილთა დასახლება)

შადი ხადიდი, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

ვაჟა ჭინჭარაული, დუშეთის საკრებულო, არქიტექტორი, სივრცითი, ტერიტორიული მონაცემების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე

მარიამ ქორიძე, მცხეთის საბავშვო ბიბლიოთეკა

ხათუნა კიპაროიძე, მცხეთის ცენტრალური ბიბლიოთეკა

ორსაათიანი დისკუსიის მანძილზე სამუშაო ჯგუფის წარმომადგენლებმა მცხეთის, ყაზბეგის, დუშეთის, თიანეთის, ახალგორის მუნიციპალიტეტებიდან, ბიბლიოთეკებიდან, მუზეუმებიდან, სამუსიკო და ხელოვნების სკოლებიდან ისაუბრეს კონკრეტულ პრობლემებზე და საჭიროებებზე. კერძოდ: ბიბლიოთეკების ფილიალების სიმცირის, მათი ინფრასტრუქტურის მოუწესრიგებლობის, კომპიუტერიზაციისა და ქსელებში ჩართვისა და თანამშრომელთა მოტივაციისა და კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროებათა შესახებ; აღნიშნეს ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის, ძეგლებისთვის ფუნქციის მინიჭების აუცილებლობა, ტურიზმის ინტერესების თანხვედრა კულტურული მემკვიდრეობის მატერიალური და არამატერიალური ძეგლების დაცვა/განვითარებასთან. აგრეთვე, აღინიშნა ადგილობრივი მუსიკალური ფოლკლორის კვლევის, აღორძინების, განვითარების ხელშეწყობის აუცილებლობა.

დისკუსიის შედეგად იდენტიფიცირებული პრობლემები, მათი გამომწვევი მიზეზები და შედეგები :

ძირითადი პრობლემები

- განუვითარებელი ინფრასტრუქტურა / მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- მწირი და არაკვალიფიციური ადამიანური რესურსები;
- საზოგადოების ცნობიერების დაბალი დონე და ჩართულობა კულტურის მართვაში;
- სამართლებრივი ასპექტების შეუთავსებლობა და გაუმართავი საკანონმდებლო ბაზა;
- კულტურის ცენტრალურ/რეგიონალურ/ადგილობრივ დონეზე მართვისა და კოორდინაციის სუსტი მექანიზმები.

პრობლემის გამომწვევი მიზეზები

- სახელმწიფო ხელის არარსებობა;
- მწირი დაფინანსება;

- გაუმართავი საკანონმდებლო ბაზა;
- განათლების დაბალი დონე;
- სოციალურად დაუცველი ფენებისა და დევნილთა კულტურის სფეროს პროცესებში არასაკმარისი ჩართულობა;
- არასაკმარისი კომუნიკაცია ცენტრალურ სახელისუფლებო რგოლებს, საზოგადოებას, მედიასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის.

შედეგები

- კულტურის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობა;
- დაფინანსების ალტერნატიული მოდელების/სქემების არარსებობა;
- რეგიონში კულტურის სფეროს განვითარების სტრატეგიის არარსებობა;
- კულტურის სფეროს პროფესიონალთა/თემების მოტივაციის გაზრდის მექანიზმების არარსებობა.